


1917 წ. № 39 კვირა ღვინობისთვის 8 ფასი 30 კაპ.

ხვალ, ორშაბათს, ღვინობისთვის 9 ქართულ კლუბში გაიმართება დიდი საღამო ჟურ. „თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოდ— სიტყვ , მუსიკა, პოეზია, ცეკვა



**ქაქი წერეთელი**

მეორე სათათბიროს წევრი, კატორგაში სასჯელმოხდილი, უნიჭიერესი მჭერ-მეტყველი, ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიის წევრი და რუსეთის დემოკრატიის გავლენიანი ბელადი, კატორგიდან დაბრუნებისთანავე სათავეში მოექცა რუსეთის რევოლიუციას, როგორც ხელმძღვანელი. თბილისს ჩამოვიდა ღვინობ. 5 სალამი დემოკრატიის მებრძოლს!

## მოწოდება

დაირაზმენით! თოფ ქვეშ დადგეს ყოველი კაცი!
ხმალ-ამოწვდილი სდარაჯობდეს თვის სადარაჯოს!
სიკვდილი მუხთალთ! გაუმარჯოთ დროშის ერთგულებს!
დაფნის გვირგვინი მტერთა ზედა ვინც გაიმარჯოს!

ვაი შეთქმულებს! და ვაი მას, ვინც-კი გაბედავს
და რესპუბლიკის წინააღმდეგ აღმართავს მახვილს!
ფხიზლად ბანაკო! მზად იყავი! ახლოა ჟამი!
ყური დაუგდე მთავარ-სარდლის მტერზე დაძახილს!

გ. ქუჩიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერების კერა

(ქართული უნივერსიტეტის შესახებ)

მას შემდეგ, რაც საქართველოს საკუთარი სწავლა განათლების კერა მოეშალა, მისთა შვილთა აზროვნება უმეტეს შემთხვევაში უკუღმართი გზით ვითარდებოდა.

ეს გადამგვარებელი მიმართულება ჩვენში დღესაც არ შეჩერებულა: ხშირად ნახავთ ქართველს, რომელსაც არც ქართული სული უდგას, არც თავის ხალხისა და ქვეყნის სასარგებლო საქმიანობა იზიდავს.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი დღევანდლამდე ჩვენი ასეთი გადაგვარების ხანა იყო და არის.

ყველამ უწყის რუსეთის უნივერსიტეტები ხშირად თვით რუსებისთვისაც რა უკუღმართ გზას მისდევდენ.

ცოცხალ აზროვნებას, ჭეშმარიტ მეცნიერებას იქ ძლიერ ალმაცერად უყურებდენ და ეს უნივერსიტეტები, თითქმის ცხრა მეათედ შემთხვევაში, მხოლოდ დიპლომიან უვიცებს გვიზრდიდენ.

უცხო ქალაქში უცხოთა შორის, უცხოთა ცივ ცის ქვეშ, ხშირად გარყვნილ წრეში მოქცეული ქართველი ხუთიათი წლის შემდეგ სამშობლოს უბრუნდებოდა, მართალია, დიპლომით, მაგრამ მასთან ჭლექით და ძლიერ ხშირად ავი სენითაც, სულიერათ და სხეულით მახინჯი...

ამან დასცა და გაანახევრა ჩვენი ხალხის შემოქმედობისა და თვით-მოქმედობის უნარი.

ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად ისჯებოდა მდაბიო ხალხი, ნამდვილი ქართველი ხალხი, რომლის შვილები რის ვაი-ვაგლახით საშუალო სასწავლებელს გაათავებდენ, მერე კი, თუ უმაღლეს სასწავლებელს—უნივერსიტეტს ეღირსებოდენ, სიღშილ სიცივით იტანჯებოდა, ანუ თუ უნივერსიტეტს ვერ ეღირსებოდა, გარიყული რჩებოდენ: არც სწავლულებში ერივნენ (დიპლომით მაინც), არც უსწავლელებში.

მხოლოდ იშვიათი ძალ-ღონისა და ხასიათის კაცნი თუ ახერხებდენ რუსეთის უნივერსიტეტებში ნამდვილ მეცნიერულ ცოდნის შეძენას და თავის ჯან-სალად შენახვას.

დღეიდან ჩვენს ასეთ ნაკლს ბოლო ეღება.

ჩვენი ცნობილი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი თურმე კარგა ხანია ფიქრობდა სამშობლო ქვეყნის ამ ნაკლზე, დაიწყო მუშაობა ქართულ უნივერსიტეტის დასაარსებლად და ამ აზრს ფრთებიც შეასხა.

საზოგადოებამ გაზეთებიდან ალბად უწყის, რომ თბილისსა და ქუთაისში უკვე შესდგა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრებანი.

ამ საზოგადო კრებებზე ერთხმად გადაწყვეტილ იქმნა ქართული უნივერსიტეტის დაარსება.

ღვინობისთვის 3 თბილისში შესდგა ქართ.-უნივერსიტეტის მეორე კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია საუნივერსიტეტო საბჭოს, გამგეობის და საფინანსო კომისიის ასარჩევად.

კრების გაგრძელება მოხდება დღეს, ღვინობისთვის 8, დეპუტატთა საკრებულოში (ფრეილინის ქ. № 11), რომელზედაც საბოლოოდ არჩეულ იქმნებიან ზემოხსენებული კომისიები და უნივერსიტეტის გამგეობა.

ასეთი დიდი საქმე ჩვენს ქვეყანას შეიძლება მეორე არა ჰქონდეს. ამიტომ ყოველი ქართველის წმინდა მოვალეობაა ამ საშვილიშვილო საქმის დროით განხორციელებას ხელი შეუწყოს და მით მოზარდი თაობის ბუნებრივ-ეროვნულად სწავლა აღზრდას გზა გაუხსნას.

ქართული უნივესტეტის საზოგადოების წევრობა ყველას შეუძლიან,—დამფუძნებელმა წევრმა ერთდროულად უნდა გადიხადოს 300 მან., ანუ წლიურად 25 მან., ხოლო დამხმარე წევრმა—ერთდროულად 100 მან., ანუ ყოველ წლიურად 5 მან.

საქართველოს ყოველი ერთგული შვილი, მშობელი ერის აღორძინების ყოველი ჭეშმარიტი მოსურნე, ქვეყნის რომელ კუთხეშიაც უნდა იყოს ამ საქმეს უნდა გამოეხმაუროს.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ ამ ქართულ უნივერსიტეტს სათავეში უდგანან ჩვენი ცნობილნი მეცნიერნი და მრეწველნი.

ვისაც ძვირად გიღირთ თვის სამშობლოში (ქ. თბილისში) ქართული მეცნიერების კერის გაღვივება, ერთ წუთსაც ნუ დააყოვნებთ და დროით გამოეხმაურეთ!

ჩვენი სამშობლოს აღდგენა დაწინაურების და მოწინავე ერებთან გათანასწორების ერთი მთავარი ფუძე—ქართული უნივერსიტეტია.

გაუმარჯოს, ვინც თვის ცოდნასა და ნივთიერ წვლილს ამ საქმისათვის არ დაზოგავს!

იოსებ იმედაშვილი.

* * *

ნეტა რას გვარგებს უცხო ქვეყნის ჩვენ გაზაფხული',
თუ ჩვენს მამულში ვერ დასძახებს სტვენით ბულბული?
თუ ვერ დაგვატკბობს ვარდთა კრება, აყვავებული,
რომ ტანჯვა წუთით მაინც გვექმნეს დავიწყებული?!

* * *

ნეტა რას გვარგებს უცხო ტომთა ლხენა და შვება,
თუ ჩვენს მამულში კვლავ იმეფებს ტანჯვა-ვაება?
არც სიყვარული, არც სიხარული და სათნოება,
როს გადავგვარდეთ, დაგვეკარგოს ქართველთ შნოება!

* * *

მოდი, ქალწულო, ბუნებისა ვარდთა მჩქეფარე,
შენს ნახვას ელის გული ჩვენი, გული მგძნობარე,
ვარდთა ხალიჩით მიმოჰფინე ეს ტურფა მხარე,
კვლავ ააყვავე საქართველო, კვლავ გაახარე...

მუშა მიხ. დუგაძე

# გზა ეროვნულ ხელოვნებას

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ საქართველოში დაარსდა ინტერპარტიული ანუ ეროვნული საბჭო. უმთავრესი მიზანი ამ საბჭოსი არის ჩვენი სამშობლოს ნივთიერ და სულიერ კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

ჩვენი ხალხის ბედნიერება მარტო ნივთიერ კითხვების გადაწყვეტაში არ გამოიხატება; არის უფრო მნიშვნელობიანი კითხვა—ეგ სულიერი და სწორედ ამ მიზნის განხორციელების გასადვილებლად, რომელიც დაისახა საბჭომ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაარსდეს საბჭოსთან ხელოვნების სექცია. ამ სექციაში უნდა შევიდნენ ქართულ დრამის და ოპერის მსახიობთა, მუსიკოსთა და ლიტერატორთა წარმომადგენლები. მიზანი ამ სექციისა უკვე ცხადია: ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს ეროვნული ხელოვნების აყვავებას, რაც საჭიროა ჩვენი ხალხის სულიერ ამაღლებისათვის და დაარსოს პროვინციებშიაც ფილიალური განყოფილებები ამ მიზნის განსახორციელებლად.

რასაკვირველია, ტეხნიკურ მხარეს მუშაობისას ამ მცირე წერილში ჩვენ არ შევეხებით. ამას შემდეგში დავუბრუნდებით, საქმე ჯერ პრინციპიალურად უნდა გადაწყდეს.

საჭიროა ინტერპარტიულმა საბჭომ ყურადღება მიაქციოს ამ მნიშვნელოვან საკითხს.

## ქართულ მუსიკის კათედრა თბილ. კონსერვატორიაში.

ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კომისიამ დაადგინა აღძრას კონსერვატორიის საბჭოს წინაშე, რომ დაარსდეს ქართულ მუსიკის კათედრა. ეს აზრი ფრიად მნიშვნელოვანია და დღეს, როცა ყველგან ვრცელდება ნაციონალიზაცია, კონსერვატორიის საბჭომაც უნდა გაუწიოს ანგარიში ამ ფაქტს. მთელი ევროპის ყუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადღება ახლა აღმოსავლეთის მუსიკაზეა მიქცეული და უფრო მაღლა აყენებენ მას.

რუსის კომპოზიტორები, ოპერებს რომ წერდნენ, მასალას ქართულ მუსიკიდან იღებდნენ: ნულა ჩამოვთვლით ფაქტებს. ქართულ კონცერტებს, უცხოეთში, საზოგადოება აღტაცებაში მოუყვანია ხოლმე... და ნუ თუ ამის შემდეგ საქართველოს დედა-ქალაქ თბილისის კონსერვატორიაში არ უნდა ჰქონდეს ქართულ მუსიკის კათედრას ალაგი?

დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია, კონსერვატორიის საბჭოს ადრევე უნდა ეფიქრა ამაზე და მინამ გვიან არ არის, ეს ნაკლი უნდა შეასწოროს.

სვ. წერეთელი

## ნაციონალიზაციის მტრები

რევოლიუციამ ქართველ ერს ჯერ-ჯერობით ორი თვალსაჩინო საქმე გაუკეთა: ეკლესია, ეკლესია მრავალ-წამებული და ტანჯული, გაუთავისუფლა რუსეთის უკანონო სინოდის ტყვეობიდან და სკოლები გაუქართულა.

ერთიცა და მეორეც, საუკუნის განმავლობაში, თავისუფლებას მოკლებული ერისათვის დიდი სა-დავათია. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ორივე მოპოებულ სამშვილი-შვილო საქმეს ჯერ მტრები ბლომად ჰყავს.

ავი და ბოროტი სულები სულ იმის ცდაში არიან თვით ქართველი ერივე აამხედრონ, როგორც ერთი მოპოებული განძეულების წინააღმდეგ ისე მეორისა.

ჯერ საეკლესიო კრების დებულებაც არ იყო შემუშავებული, რომ შინაურმა და გარეულმა პროვოკატორებმა დაჟინებით მიჰყვეს ხელი ჭორების გავრცელებას ანგარების მოყვარულ სამღვდელოების წრეებში: „რათ გინდათ ავტოკეფალია, არ იცით თქვენ თავის მტრებო, რომ „უწმინდესი“ სინოდი ჯამაგირს აღარ მოგცემსთ და საეკლესიო ქონების [illegible] რისთვის გაქვსთ: ყველა ამას სოციალისტები [illegible] მოგართმევენო“.

ავეია და ავსულობის მუცლის გვრემა სამღვდელოების ჯამაგირი და საეკლესიო ქონების წაართმევა კი არ იყო, იმათ ის უნდოდათ როგორმე ავტოკეფალიის საქმე შეეფერხებიათ და საქართველოს ეკლესია კიდევ რამოდენიმე საუკუნით აუგავება გაფურჩქვნისათვის ჩამოუშორებიათ.

მადლობა ღმერთს სულ-მოკლე და ანგარებით გატაცებულნი ცოტანი აღმოჩნდნენ ქართველ სამღვდელოებაში და ვინც აღმოჩნდა — იმათაც პირში დაგამი ამოსდვა ქართველმა მოწინავე სამღვდელოებამ და ამ რიგად თავის სანუკვარი ეკლესია ტარტაროზის კლანჭებიდან დააძვრინა და ტყვეობისგან გაათავისუფლა.

ახლა ესევე ავი სულები სკოლების გაქართულებას აუმხედრდნენ.

სხვას რომ ვეღარაფერს იგონებენ, ქართველ მოსწავლეებს და მათ უფრო მშობლებს ამნაირ სისულელეში აჯერებენ: „რათ გინდათ ქართული ენა, მაგ ენით რუსეთშიაც ვერ გამოდგებით, თორემ საზღვარ გარეთ ხომ სრულიად უძლურნი იქნებითო და რუსული ენა-კი მთელ ქვეყნიერებაზე ხმარებაშია და უიმისოდ პურს ვერსად სჭამთო“.

ასეთმა უსაფუძვლო რუსული ენის განდიდებამ და უმდიდრესი დაულამაზესი ქართული ენის დამცირებამ ზოგიერთ ქართველთა შორის ნიადაგი იპოვა. მაგალითად ქუთათურ ერთ-ერთ საშუალო საქალებო სასწავლებლიდან მეორე ამგვარივე სასწავლებლის რუსულ განყოფილებაში იწყეს გადასვლა. გული გიკვდება, როდესაც შავთვალა და მოგრძო ცხვირიანი ქართველი გოგონა ასეთსავე თავის ამხანაგებს ტოვებს და „კურნოსა“ რუსის გოგოებთან ზის და სწავლობს იმას რუსულად, რაც მისთვის ათასწილად სჯობია, რომ ქართულად სწავლობდეს.

მართალია წარსულში ერთი საუკუნის განმავლობაში რუსებმა მოგვსპეს, გადაგვაგვარეს, მაგრამ არა მჯეროდა, ქართველი ქართველობას ისე გადაკარგავდა, რო მას ეტყოდენ; ნება გაქვს ქართულად ისწავლო და ილაპარაკო და ის მაინც მჩაგვრელების ენას ეცემოდა და ამ ენაზე ამჯობინებდა სწავლა მეცნიერების შეძენას.

დრო არის, გზა დაბნეულო-ქართველო მშობლებო, გონს მოხვიდეთ, გულისხმას ჩახვდეთ, თორემ მომავალი შეგნებული ქართველობა ზიზღით მოიხსენიებს თქვენს სახელს!

მ. ბუაჩიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელად ოქროს წვრილ მძივებად დაილეწა, დაიშალა,
დაიმსხვრა და ცის კალოზედ, მი-მოიბნა, მოიშალა,
და დაღამდა.. მთვარეც ადგა, გადაჰხედა ღამეს შავსა,
მზე ვერ ნახა, შეეშინდა... და გაუდგა იმის კვალსა.
ცურავს მთვარე გულ-მოკლული და დაეძებს სატრფო მზესა,..
ჩუმად დარდობს, ფერი მისდის და გასცქერის ქმუნვით გზებსა...
და ჩვენ ვარსკვლავთ, ღამე რომ ვჰვრეტთ, ეს სატრფოა სნეულ
მთვარის.

ვინ რა იცის, რომ დარდისგან მთვარე ავად ჭლექით არის!..
როცა ღამე დასრული იპარება სხვა ქვეყნათა,
როს რიჟრაჟობს.. განთიადიც იღემება ვარდის ფრათა,
მაშინ ხელად ვარსკვლავთ ჯარი სამკაული ღამით ცისა—
უხილავად ინასკვება და იკვრება სახე გზისა.
და დღე დგება... კვლავ მზე და დღე ნეტარებენ მთვარის ჩუმათ,
მზე დღეს კოცნის, კოცნის და დღეც გარს ევლება აბრეშუმად!..
და, როცა კვლავ დღეს დაათრობს ჯადოსნური მზის სიმღერა,
მზე იმსხვრევა ვარსკვლავებათ და იწყება მთვარის ცქერა.
სატრფოს ეძებს ღამ-ღამობით, რომ იპოვოს მაინც სჯერა..
და ამბობენ, ეს მოვლენა იქნებაო მრავალჯერა,
ვიდრე მთვარე არა ნახავს თვის დაკარგულ სატრფო-მზესა,
რომლისთვისაც გული უცემს, ვისაც სწირავს სიცოცხლესა...

კოტე რატიშვილი

## ჩრდილოეთიდან სამშობლოს

რა რომ მოგშორდი სამშობლოვ,
გავხდი... შევიქენ სნეული,
გული ვერ ითმენს აქ ყოფნას
შენსა სიყვარულს ჩვეული.
ისე დავდივარ ამ ქვეყნათ
როგორც მწირი და ეული..
ვტირი და ვგოდებ დღე-ღამე,
ცრემლით დავნამე რვეული,
სევდა ეწვია ჩემსა სულს
არცა მცილდება წყეული.
სული კვნესის და იმწარის
ყინულის ქსელში ხვეული...

დ. ძიძიგური

## თავისუფლება.

თავისუფლების დაგვიდგა ხანა,
ხალხნო იღვიძეთ არ—დაიძინოთ;
ძველი ძირს დავცეთ, ახალი აღსდგეს,
რომ მომავალში მით ვილხინოთ!

* * *

თავისუფლება ბრწყინავს ჩვენთვინა,
ვეძიოთ იგი, გავწიოთ წინა!
ეცადეთ ძველი ძირს დავცეთ ჩვენა
რომ ჩვენს სამშობლოს მიეცეს ლხენა.

გაიოზ იმედაშვილი



გ. ქუჩიშვილი



დარია ახვლედიანი



ს. ფაშალიშვილი



ქსარი

ცისა გუმბათზე მკრთალი მნათობი,
ღრუბელთა შორის მისცურავს ნელა;
ხომლი ცახცახით კრთის და კანკალებს,
ცოდვილ მიწაზე კი ისევ ბნელა.
სევდა, ვარამი, ჰმუნვა, ნაღველი,
თითქოს გამშორდა გულიდან ყველა;

მაგრა ვით ხომლი კვლავ ვკრთი, ვცახცახებ
და ვით სივრცეში გულშიაც ბნელა.
აქაც ხანდაზმით მცირედ მინათებს
გარს მოფარფატე ციცინათელა
და ვითა იგი გლახ გულშიც ისე
ხან გამინათებს, ხან ისევ ბნელა!

დარია ახვლედიანი'ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული დრამა — სეზონი 1917 წ.



ე. ჩერქეზიშვილი



ვ. აბაშიძე



ნ. დავითაშვილი



ვ. შალიკაშვილი



ნ. ჯავახიშვილი



ე. ანდრონიკაშვილი



პ. კორიშელი



ტასო აბაშიძე



ი. ზარდალიშვილი



ა. ქიქოძე



მ. ქილ[illegible]შვილი



პ. შოთაძე



მ. იშხანელი



ს. ბექაიშვილ



მ. ივერელი



გ. ახოსპირელი



ნ. გვარაძე



ი. თარალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ობოლი ჯვარი

თქვენ იცით რა არის ომი?.... ეს ხალხის კაფვაა. სიცოცხლის გაქრობა.

მებრძოლ სახემწიფოთა შორის, რომელიც ბრძოლაში ბევრ სიცოცხლეს მოკაფავს, რასაკვირველია გამარჯვება მისია, გამარჯვების ნაყოფს ის მოიმკის...

ომის ჯოჯოხეთურ ცეცხლში მე თვით გამოვიარე. ჩემის თვალითა ვნახე, როცა ორი მოპირდაპირე მტერი, ადამიანობიდან გამოსული, გამხეცებული ებრძოდა ერთი მეორეს. ვნახე როგორ კაფავდნენ ჩვენი ჯარი ოსმალებს, ოსმალები ჩვენ ჯარს.

1916 წელს, თებერვლის 3, აზრუმში შესვლის შემდეგ ქალაქის ციხე-სიმაგრეს გარედან სისხლის ღვარი უვლიდა. სამი თვის ნათოვ ნაბუქი თოვლია თეთრი ფარდაგი მეომართა სისხლით შეღება... ამ წითელ ფარდაგში ისე ეყარა დახოცილი ოსმალო-რუსები, როგორც ქვიშა ზღვაში.

ოჰ, რა ძნელია ამ დროს სიკვდილი: კვნესი, შველას თხოულობ, ხელს იწვდი, ფართხალებ, კრილობ დან სისხლი წყალივით გადმოგდის და შენი არავის ესმის. არავის სცალია ..

ბრძოლის გრიგალმა გადაიარა. ჯარი წინ წავიდა. აღებული ციხე-ქალაქი ცოტა დამშვიდდა. მშვიდობიანმა მცხოვრებლებმა ოდნავ მოითქვეს სული... ხალხმა მოძრაობა იწყო.

აზრუმის აღების ორი თვის შემდეგ აპრილში ჩვენ მავთულების ხლართს ვაბამდით ქალაქ გარედ. თოვლი აქა-იქ მთებზე ბევრგან ჯერ კიდევ დაუდნობელი იყო.

მუშაობის დროს მე შემთხვევით ხევში ჩ ვიხედე და თოვლზე გავარჩიე კაცის გვამი. გავიფიქრე, იქნებ ჩვენი ჯარის კაცია მეთქი და ჩავედ სანახავად. თვალ წინ წარმომიდგა რუსის მაზარა და ქუდი, მკვდარი პირდაღმა იყო თოვლში დაფხული. ეს იყო უგზო-უკვლოდ დაკარგული, როგორც ხშირად ხდება ომის დროს. ამხანაგებს დავუძახე, მიცვალებული გადავაბრუნეთ... საცოდავს ხელში თოფი აღმოაჩნდა ისე მაგრადა ჰქონდა გულში ჩაკრული, თითქო მკვდარიც არავის ანებებდა. ჯიბეები გაუჩხრიკე, საფულე უნახე, შიგ ხუთი მანათი ფული და ბარათი. ფული და ბარათი დალბობილი იყო. წყლით დაბალ ქაღალდზე მელანი გადასულიყო, მაგრამ აქაიქ დარჩენილ ასოებიდან სჩანდა, მიცვალებული ქართველი ჯარის კაცი უნდა ყოფილიყო, უგზო-უკვლოდ დაკარგული. „ჩემო შვილო“, ერთ ალაგას ამოვიკითხე... მერე სიტყვები აღარ იყო... რამდენიმე ჰწკარის შემდეგ კი გავარკვიე... „ნეტა შენს ნახვას თუ ვეღირსო..“ ბარათის ბოლოში: „გლოცავს ძუძუებიო“... ამ ბოლო სიტყვებზე ტანში გამაჟრჟოლა. თავიდან ფეხებამდი გავცივდი... ცრემლებ აღვსილი შევხედე მიცვალებულს, მივაჩერდი გაცივებულ შავ სახეში და ერთ წამს ყველა ქართველი დედა წარმომიდგა თვალ წინ.

ამ დიდმა ომმა საქართველოში რამდენ დედას აუტირა გული, დაუწვა ძუძუები შვილის დაკარგვით... მისი სახის გამოცნობა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. მხოლოდ თეთრი კბილები, ოდნავ აშლილი ულვაშები, რომლის ზრდაც შეწყვეტილ იყო, მისი ახალგაზრდობის მაჩვენებელი იყო: ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა.

საღამოს ეს ამბავი როტის უფროსს უამბე. მისი ბრძანებით მეორე დღეს კუბოს მაგივრად ფიცრის სკივრი შევკარით, ხის-ჯვარი გამოვჭერით და მიცვალებულის გვამი დასამარხად წავიღეთ. ხევის მაღლა ბრეკზე მიწა გავჭერით. ცხედარი სკივრში ჩავასვენეთ და უფროსის თანადასწრებით დავკრძალეთ... მისი განკარგულებით თოფი თან ჩავატანეთ საფლავში და ხის ჯვარი გულს დავასვით ზედ წარწერით: „აქ განისვენებს უგზო-უკვლოდ დაკარგული რუსის ჯარის კაცი, ეროვნებით ქართველი...

ხის ობოლი ჯვარი, ხევში, ბრეკზე დღესაც იცავს ობოლ საფლავს. დადგება დრო, ჯვარი დალპება და იმ ალაგას მისი ხსენებ ც აღარ იქნება.

„ჩემო შვილოო“—ალბად დედა სწერდა თავის შვილს. „უედიკო გლოცავს ძუძუებიო“. ამ სიტყვების გამოთქმაზე ვინ წარმოიდგენს საბრალო მშობელი დედის გულში რა სიყვარულის ცეცხლი აინთო ჯარში გაწვეულ შვილისადმი?

საწყ ლი დედა! ალბად დღესაც ელოდება და იმედი აქვს შვილის ნახვის? ის-კი არ იცის, თუ მისი შვილი აზრუმის მიდამოებში მარხია, თავის საყვარელ სამშობლოდან შორს და ობოლი ჯვარი იცავს.

მჯ. ფურცხვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება იხ. „თ. და ც“ № 38).

(შორტმანს ეძებს) ესეც თქვენი გასამრჯელო.

მოსამს დიდათ გმადლობთ!

ბატ. ფოკ. მოითმინე შენი ჭირიმე (შინელის ჯიბეში ეძებს). მგონი რამდენიმე ეკზემპლიარი კიდევ დამრჩა. „ქანაკის კუდის ფოთლები.“ (აძლევს ორიოდე თხელ წიგნაკს) ეგ წიგნები ღვთის მოყვარული კაცის დაწერილია, ნამდვილი ამბებია—რაც განუცდია, ყველაფერი სინამდვილითა აქვს გადმოცემული. ვისურვებ, რომ კეთილ გზაზე დაეყენებინეთ. (გაკვირვებულ მოსამსახურეს ხელს ართმევს; მოსამსახურე ვეღარაფერის თქმას ვერ ახერხებს და ჩუმათ გადის)

ფოკ. (შინელსა და ქუდს ჰკიდებს, აქეთ-იქით იყურება, სიამოვნებით ხელებს იფშვნეტს. მერე მიდის საწოლ ოთახის კარებთან და ყურს უგდებს. როდესაც იქიდან ხმაურობა შემოესმება, გამოტრიალდება და ფეხთან დაიმალება).

ფრ. კეტ. (გამოდის საწოლი ოთახიდან, ჰხედავს ქაღალდში გახვეულ ნივთებს, შინელსა და ქუდს) აჰა, ღმერთო ჩემო! ეს ნივთები ხომ.., ეს ნივთები ხომ მამასია!..

ფრ. ფოკ. (უცბათ გამოვარდება, ერთსა და იმავე დროს ხან ტირის და ხან იცინის რამდენჯერმე ეხვევა კეტეს და ჰკოცნის) შვილო! კეტე! ჩემო მტრედო. (ჰკოცნის) როგორ სცხოვრობ? რას აკეთებ? ხომ ყველანი კარგათ ხართ, მხიარულათ? (ჰკოცნის) არა, შენ არ შეგიძლია წარმოიდგინო. (კეტე გაუშვებს) შენ არ შეგიძლიან წარმოიდგინო რანაირათ მიხაროდა აქეთ წამოსვლა. (თითქმის სულ იცინის) პრინცი რაღასა შვრება? ხა... ხა... ხა... როგორა ბრძანდება მისი უმაღლესობა?! ხა.. ხა.. მისი უმაღლესობა პრინცა შანუდი? ხა.. ხა.. ვმადლობ ღმერთს, რომ თქვენი თავი კიდევ მაჩვენა (ცოტა დაიღალა) იცი რა? (სათვალეებს იხსნის და სწმენდს) მარტო ყოფნა კარგი არ არის! ხა.. ხა.. მარტო ცხოვრება მოსაწყენია, საჭიროა რომ ორი ადამიანი ცხოვრობდეს ერთათ! ხა.. ხა,. ხა!.. დიახ, დიახ, ესეც ასე! მე საქმე ბლომათა მქონდა. მარტო ფუნეს გამოზიდვა . ფუნე, ნეხვი.. ხა.. ხა..!.. ფუნე ოქროა მეურნისათვის!.. ამ ცოტა ხანში პასტორმა ფაიფორმა მინახულა და საშინლად გაჰკვირდა, რომ ფუნის ორმო ისე ახლო მქონდა სახლთან (იცინის) მე კიდევ ამაზე იცი რა ვუპასუხე? „ძვირფასო პასტორ, ეგ ჩვენთვის ოქროთი სავსე ხარო არის მეთქი“: ხა... ხა..! აბა ჩემი მოხუცი სადღაა: ან იოჰანესი? (კეტეს აცქერდება) იქნება ლამპის სინათლის ბრალია, მაგრამ მე ვგონებ, კეტე, შენ სრულებით ვერ მოგიკეთნია! .

ფრ. კეტ. (ძლივსა მალავს მღელვარებას) ახ, მიმილო, მე ვერ ვგრძნობ, რომ სრულებით... (კისერზე ჩამოეკიდება) დიდათ გახარებული ვარ თქვენი მოსვლით!...

ფოკ. მგონი ცოტათი შეგაშინე, კეტე!? (ფრ. ფოკერატი გამოჩნდება კარებში).

ფოკ. (სიხარულისგან ისევ აღელდება) აი დასწყევლა ღმერთმა. (აგერ ისიც ხა.. ხა!. (ცოლ-ქმარი ერთმანეთს გადაეხვევიან და იცინიან)

ფრ. (თავის გულს ვერ მოერევა და გადის)

ფოკ (კოცნის შემდეგ ბეჭებზე სცემს ხელს) მაშ ასე, ერთგულო მოხუცო! ჯერ ასე ხანგრძლივად ერთმანეთს არ დავშორებივართ.. ეხლა იოჰანესი ღა გვაკლია...

ფრ. ფოკ. (მცირე ხანს სიჩუმის შემდეგ) ჩვენ ხომ სტუმარი აქვე გვყავს.

ფოკ. სტუმარი? ჰოო!

ფუკ. ფოკ. დიახ, ფრეილინი.

ფოკ. ჰა, რომელი ფრეილინი? .

ფრ. ფოკ. შენ ხომ იცნობ: ფრეილინ მაარი.

ფოკ. მე ის კარგა ხნის ნახული მეგონა. მაგრამ არა უშავსრა. ბლომათ სანოვაგე მოვიტანე. (მოტანილ სანოვაგეს გადმოაწყობს). აი აქ კარგია. ამ ხელად კვერცხები არ წამომილია. ჯერ კიდევ არ დამვიწყებია ამ წინაზე კვერცხების წამოღებამ რა შიში მაჭამა, აი კიდევ! შინ მომზადებული ყველი, ჰანესისთვის ეს ყველაფერი სარდაფში უნდა ჩავგზანოთ, აი ეს კიდევ შაშხი, გარწმუნებ მართა, რომ მშვენიერება რამაა.. სწორეთ ორაგულია...შენ რატო არაფერს ამბობ? ცუდ გუნებაზე ხომ არა ხარ?

ფრ. ფოკ. ჰო, მაგრამ არ ვიცი როგორ გითხრა, მაგრამ მე გულზე.. არ მინდოდა შენთვის მეთქვა... მაგრამ შენ ხომ ჩვენი ყველას ერთგული მეგობარი ხარ?.. მარტო მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ხვიტან... ჩვენი შვილი... ჩვენი იოჰანესი. უფსკრულის პირას იყო მიახლოვებული.

ფოკ. (გაკვირვებული და შეშინებული სდგას) იოჰანესი? ჩვენი იოჰანეს? მერე რა? სთქვი!.

ფრ. ფოკ. გეთაყვა ნუ ღელდება, ღვთის შემწეობით ყველაფერი თავის დონეზე დადგა: ფრეილინი მალე ჩვენი სახლიდან მიდის.

ფოკ. (დიდათ აღელვებული) მართა! ეგ შეუძლებელია!

ფრ. ფოკ. მე ხომ არ ვიცი მათმა მეგობრობამ სადამდის მიახწია.. მაგრამ საშინელი დღეები განვიცადე.

ფოკ. მე სანაძლეოზე ხელს მოვიჭრი, დაუფიქრებლად, მართა! ჩემმა შვილმა! მართა?.. ჩემმა შვილმა!. დაივიწყა მოვალეობა.. დაარღვია ერთგულება!.

ფრ. ფოკ. ეჰ, კაცო, ჯერ შენ თვითონ დარწმუნდი, საქმე გამოიკვლიე.. მე არაფერი არ ვიცი...

ფოკ. (ფერწასული ბოლთას სცემს ოთახში და თან დუდუნებს) იყოს ნება შენი, იყოს შენი ნება!.

ფრ. ფოკ. (ჩუმათ ტირის).

ფოკ. (წინ გაჩერდება) მიზეზი უნდა იყოს, მართა... მოვიფიქროთ.

ფრ. ფოკ. ჩვენ ყველაფერს პირაკრულები ვითმენდით. შვილები კი სულ უფრო და უფრო სცილდებოდნენ ჭეშმარიტების გზასაცა და ღმერთსაც.

ფოკ. მართალი ხარ. ეგ აგრეა და ამიტომაც ეხლა ვისჯებით!.. (ორივე ხელებს უჭერს) ღმერთს შევევედრნეთ. ღრმა თავმდაბლობით მოვიხაროთ მუხლი მის წინაშე.. დღე და ღამე ვევედრნეთ ღმერთს, მართა!...

მოქმედება მეხუთე.

(ოთახი ცარიელია. სტოლზე წინანდებურად სდგას ანთებული ლამპა... ყველაფერი ისეა, როგორც მეოთხე მოქმედების დროს)

იოჰანე. (საჩქაროთ შემოდის გარეთა კარებიდან; ძალიან გაჯავრებულია) დედავ! (აღებს საწოლი ოთახის კარებს) დედავ!

ფრ. ფოკ (გამოდის ოთახიდან) რა ამბავია? რა მოხდა? რა გაყვირებს? სხვა არა იყოს რა, ფილიპეს გაეღვიძება!..

იოჰან. დედი, მე მინდა გავიგო, რა ნება გაქვს, რომ ჩემი სახლიდან სტუმარი გააგდო?

ფრ. ფოკ. სცდები, ჩემო კარგო, მე არავინაც არ გამიგდია.

იოჰან. (მეტად გაჯავრებული ბოლთასა სცემს) დედი, სტყუი!..

ფრ. ფოკ. ჰანნეს! შენ უბედავ დედას პირში მაგისთანა სიტყვას?!.

იოჰან. შემიძლია ვთქვა, იმიტომ რომ მართალია! ფრეილინ ანნა ემზადება წასასვლელად და...

ფრ. ფოკ. მერე რა? იმან გითხრა, რომ მე დავითხოვე ამ სახლიდან?

იოჰან. იმისი თქმა რა საჭირო იყო? მე თვითონ ვიცი!..

ფრ ფოკ საიდან იცი?...

იოჰან. თქვენიდან რომ მიდის იმდენი ეცადეთ, იმდენი ილაპარაკეთ, რომ თქვენს წადილს ისრულებთ, მაგრამ აი რას გეტყვი: კარებში ჩავდგები, ავიღებ რევოლვერს (წიგნების შკაფიდან რევოლვერს იღებს) აი! და პირდაპირ შუბლში დავიცემ, თუ ის ქალი აქედან წავიდა. ეს ისე უეჭველია, როგორც ამ წამში ჩემი აქ დგომა...

ფრ. ფოკ. (შეშინებული და აღშფოთებული. უნდა რევორვერს ხელი უტაცოს) ჰანნეს, გამიგონე, რას შვრები?..

იოჰან. პატიოსან სიტყვას გაძლევ...

ფრ. ფოკ. მამილო, მამილო!..მოდი რაღა.. ლომის რევოლვერი დაიცეს. (მოხუცი ფოკერატი გამოდის სანთლით) ღვთის გულისათვის, დაარწმუნე..

იოჰან ოჰ, მამა! (უცბად გამოერკვევა. რევორვერს დააგდებს)

ფოკ. და ახ, ეს მე ვარ... და აი რანაირად მოგვ ხდა პირველად ერთმანეთის შეხვედრა!..

იოჰან. დედი, ეს რა ამბავია?.

მიხ. ფოკ. (შილის შვილთან თამამად და დიდებულად) ეს ის ამბავია, შვილო, რომ გონზედ უნდა მოხვიდე!.

იოჰან, რამ მოგიყვანა?

ფოკ. ღვთის ნებამ. ე.. დიახ, განგებამ გამომგზავრა აქეთ.

იოჰან. დედამ დაგიბარა?

ფოკ. ჰო, იოჰანეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოჰან. რა იყო მიზეზი? რისთვის დაგიბარა?

მოხ. ფოკ. ხომ დაგეხმარებოდი, როგორც მეგობარს ე... დიახ!..

იოჰან. რაში ვსაჭიროებ თქვენს დახმარებას?

ფოკ. შენ სუსტი ხასიათის ხარ. ჰანეს! ე... დიახ.! შენ ისეთივე სუსტი ადამიანი ხარ, როგორც ჩვენ ყველანი!. ე.. დიახ!

იოჰან. მე თუ სუსტი ხასიათისა ვარ, ეხლა თქვენ რითი შეგიძლიან მიშველოთ?

ფოკ. (მიდის იოჰანესთან. ხელს უჭერს) მე მინდა გითხრა, რომ ჩვენ ყველას გვიყვარხარ ე.. დიახ!.. ამასთანავე უნდა გითხრა, რომ უფალ ღმერთს უხარის ცოდვის მომნანიებლის ხილვა. ე.. დიახ. შენანებული...

იოჰან. მაშ მე ცოდვილი ვარ?

ფოკ. (ისევ ტკბილად) დიახ, დიდი ცოდვილი ე. დიახ.., უფლისა ღვთისა წინაშე!..

იოჰან. რათა ვარ მერე ცოდვილი?

ფოკ. „რომელი ჰხედვიდეს დედაკაცსა გულის თქმად მას“.. სთქვა ქრისტემ, ე... დიახ!. შენ კი, შენ უფრო ცუდათ მოიქეცი ე.. დიახ!..

იოჰან. (ხელებს მაღლა იწევს, ახე გონია ყურებში თითების დაცობას აპირებსო) მამა!..

ფოკ. ჰანეს. გულს ნუ ჩაიხვევ! მომეცი ხელი, როგორც ცოდვილმა ცოდვილს... ამ ბრძოლაში მეც თანაშემწეთ გამოიხადე.

იოჰან. მამი, უნდა გითხრა, რომ მე სულ სხვა ნიადაგზედა ვდგევარ..

ფოკ. დიახ, შენ თავდაღმართზე სდგევხარ...

იოჰან. როგორ შეგიძლიან მაგისი თქმა, მამი, შენ ხომ არ იცი მე რა გზით მივდივარ?

ფოკ. გზა ეგე—ფართე გზაა, რომელსაც კაცი დაღუპამდის მიჰყავს. მე თვალ-ყურს გადევნებდი, ე.. დიახ. გადევნებდი ჩუმათ... მაგრამ ჩემს გარდა, შენ თვალს გადევნებს უმაღლესი არსება—ღმერთი! ე. დიახ! მე იმისი იმედით დავივიწყე ჩემი მოვალეობის აღსრულება ე.. დიახ!.. დღეს კი გეუბნები ღვთის სახელით: უკან გამოტრიალდი, ვინაიდგან უფსკრულის პირასა სდგეხარ!

იოჰან. მამი, თქვენ ჩემი სიყვარული გილაპარაკებთ, მაგრამ მაგ სიტყვებს რო ჩემი გული ბანს არ აძლევს?!. მე არ მეშინიან იმ უფსკრულისა, რომელზედაც შენ ლაპარაკობ, ხოლო არის მეორე უფსკრული, და თქვენც სწორედ იმ უფსკრულში გადამიძახებთ... გაფთხილდით!.

ფოკ. არა, ჰანეს, არა.

იოჰან. შემცდარი აზრია, რომ დედა-კაცის შეხედვა მრუშობაარ, და ვინც შეხედავს ქორწინების სიწმინდავეს არღვევსო! მე ვებრძოდი ჩემ თავს...

ფოკ. არა, ჰანეს, არა მე ხშირად ვაძლევდი რჩევას, რომელსაც შენთვის არავითარი ვნება არ მოუყენებია. თავს ნუ იღუპავ, ნოუღე ყველაფერს ბოლო. გაიხსენე შენი ცოლი, პატარა ფილიპე. ოდნავ მაინც შეიბრალე მოხუცებული მშობლები. ეხლა შენ ცოლზე უნდა იზრუნო. გულს ნუ ჩაიხვევ და..

იოჰან. მამი, განა მე უფლება არა მაქვს, რომ ჩემ თავზედაც ვიზრუნო?

ფოკ. რაკი ერთხელ გადასწყვეტ და წესიერათ მოიქცევი, მაშინ შეღავათსაც იგრძნობ.

იოჰან. ასე რო არ მოხდეს?

ფოკ. მერწმუნე რო ასე იქნება.

იოჰან. რო.. ფრეილინ ანნა?

ფოკ. ადამიანს დროთა განმავლობაში ყველაფერი ავიწყდება.

იოჰან. იმან რო ვერ დამივიწყოს?

ფოკ. ალბათ ღვთის ნება ასეთი ყოფილა.

იოჰან. აბა, მე სხვა აზრისა ვარ, მამი! ჩვენ ერთმანეთისა არ გვესმის რა და ვერც გავიგებთ ერთმანეთისას ამ საკითხის შესახებ.

ფოკ. (ცდილობს ტკბილად ილაპარაკოს) აქ გაგებაზე სრულებით არ არის ლაპარაკი. შენ შემცდარი შეხედულება გაქვს ქალისა და კაცის დამოკიდებულებაზე. გაუგებრობის ბრალი არ არის. წინეთ ეს კარგათ გესმოდა. გაუგებრობის ბრალი არაა!

იოჰან. ნუ სჯავრობ მამი. მაშ რის ბრალია?.

ფოკ. უმორჩილობის... ე... დიახ!.

იოჰან. შენ სთხოულობ, რომ მე ისე მოვიქცე, როგორც შენ გესიამოვნება, თუნდაც რომ შენი შეხედულობა შემცდარად მიმაჩნდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოკ. მე შენ ცუდს არას გირჩევ! ე... დიახ!. გული მტკივა რომ ამაზე ელაპარაკე- ბი, გიხსნი.. დიახ. შენს გაზრდაში ბევრი ტანჯვა გამოგვივლია. უძილოთ ბევრი ღამე გაგვითენებია...გიფრთხილდებოდით არაფერსა ვზოგავდით... ავად რო გახდებოდი ხოლმე,— ბავშობაში ძალიან ხშირად იცოდი ავადმყო- ფობა,—მაშინ ხომ სულ თავს დაგტრიალებ- დით და არაფერს ვიშურებდით შენ მოსარ- ჩენად.

იოჰან. ეგ ყველაფერი მართალია, მამა, და ძალიან მადლიერიცა ვარ...

ფოკ. ცარიელი სიტყვებია!. საქმით და- ამტკიცე, საქმით. ე დიახ! კეთილი მსახური და პატიოსანი კაცი იყავი.. ე. დიახ! აი რაშია ნამდვილი კეთილშობილება.

იოჰან. მაშ, როგორც გეტყობათ უმა- დურობას მაყვედრით... ღირსი არა ვყოფილ- ვარ, რომ იმოდენა შრომა გაგეწიათ ჩემზე?!

ფოკ. აღარ გახსოვს? პატარაობისას მუ- დამ ლოგინში ჰლოცვილობდი ხოლმე. ე. დიახ! დილითა და საღამოთი..

იოჰან. მერე რა?

ფოკ. უფალო, ღმერთო ჩემო, შემეწიე, რათა კეთილი კაცი გამოვიდე, თუ არა და..

იოჰან. მაშ შენის აზრით უმჯობესი იყო, რომ მაშინ დაგემარხეთ?

ფოკ. თუ განაგრძობ მრუდე გზით სია- რულს. ე. დიახ!. გული თუ გაგიქვავდება.

იოჰან. დიახ, მეც მაგრე ვფიქრობ, რო მაშინ მიჯობდა სიკვდილი. (მცირე ხანს სიჩუმეა)

ფოკ. გონს მოდი, შვილო. გაიხსენე ისი- ნი. ე. დიახ!. რომელნიც შენ დარიგებას გაძ- ლევდნენ.. მოიგონე პასტორი ფეიფერი, შენი საყვარელი მასწავლებელი და დამრიგებელი. წარმოიდგინე..

იოჰან. (გაჯავრებული) მაშ დამანებე თავი შენი აღმზრდელებით! თუ არ გინდათ რომ ყველა მასხარათ გაგხადოთ. ნუ მაგონებ ცხვ- რის თავების იმ ხროვას, რომელსაც ძვლები- დანაც კი სულ ერთიან ამომსუტა ტვინი!..

ფრ. ფოკ. ზეციერო მამაო!..

ფოკ. სუ. მართა!. (იოჰანეს) ასეთი საყვე- დური არ დაგვიმსახურებია არც ჩვენ და არც შენს მასწავლებლებს.

იოჰან. თქვენ მე გამტეხეთ, შემომიწყვი- ტეთ!

ფოკ. იოჰანეს ღმერთსა სცოდავ.

იოჰ. მე ვიცი რასაც ვამბობ.

ფოკ. სიყვარულის მაგიერია?.

იოჰ. თქვენმა სიყვარულმა მე დამღუპა

ფოკ. ვეღარ მიცვნიხარ, შენი აღარაფერი გამეგება!

იოჰ. მაგაში დარწმუნებული ვარ, ჩემი თქვენ არასდროს არც გაგეგებოდათ და ვერც გაიგებთ (სიჩუმე).

ფოკ. მაშ კარგი, ჰანეს; მე გავათავე სრულებით. არ მეგონა რო ასე გამიხდებოდა საქმე.. კიდევ იმედი მქონდა, მაგრამ, რო- გორც ვატყობ, ჩემ სურვილს ძალა არ შეს- წევს... აქ მხოლოდ ღმერთს და შეუძლიან დახმარება.! წავიდეთ, მოხუცო. ე. დიახ. აქ ჩვენთვის ადგილი აღარ არის, მეტი ვერით ე. დიახ! მივსხდეთ სადმე და ვილოცოთ, ვიდ- რე უფალი გადმოგვხედამდეს (მიუბრუნდება ახლა იოჰანეს) მაგრამ ერთ რასმეს კიდევ გეტ- ყვი. ჰანეს: ხელი სისხლში არ გაისვარო. გამი- გონე. სისხლში ხელი არ გაისვარო!. ეგ ცო- დვა აღარ აიკიდო. კეტესათვის ყურადღება არ მიგიქცევია? ვერ შენიშნე, რომ იმისი გონება საფრთხეშია? კარგათ არ დაკვირვები- ხართ იმ საწყალ ნაზ ქმნილებას? ე. დიახ!. ნუ თუ არ გესმის რა ღლეში ჩაგდეთ ის ქა- ლი? დეე, დედა შენმა გიამბოს მთელი ღა- მეები როგორ თურმე დასტირის შენს სურა- თებს.. გიმეორებ, ჰანეს, ცოდვაში არ ჩადგე, სისხლში ხელი არ გაისვარო! ეხლა კი გავა- თავე.. ე. დიახ! წავიდეთ, მართა, წავიდეთ..

იოჰ. (მცირე ხანს თავის თავთან ბრძოლის შემდეგ) მამავ! დედავ!!.

ფრ ფოკ. (უკან მობრუნდებიან. იოჰანს მი ვარდება მათ და ეხვევა ორივეს)

იოჰ. (სუსტი ხმით) ეხლა მითხარით, რა ვქნა?,

ფოკ. ნუ აჩერებ იმ ქალს. თავი გაანებე, დეე, წავიდეს.

იოჰ. გაძლევ პირობას მამავ. (მოქანცუ- ლი სკამზე ეშვება) ფრაუ ფოკერატი გახარებული მიდის საწოლ ოთახისკენ)

ფოკ. (მჯდომარე იოჰანეს თავზე ხელს უსვამს

## კათალიკოსის კურთხევა

საქართველოს ეკლესიას ამ ერთს საუკუნეში არ ახსოვს ისეთი დღე, გასულ კვირას რო გაუთენდა:

ოდესღაც დიდებული მხნეთა, დღეს დრო-ჟამისგან გაძარცვნილი, ხომ ზეიმობდა.

მოკაშკაშე მზიანი დღე, საქართველოს ყოველი კუთხიდან მოსული აუარებელი ხალხი, სხვა და სხვა დროშებით (მარქსის სურათიანი დროშაც-კი), ქართველი დარაზმული მხედრობა. ქართველი ახალგაზდობა ეროვნულ ტანისამოსით, საკუთარი დროშით (შოთას სახით), ქართულ კულტურრლ საგანმნათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლობა და გვირგვინი ამ დღის—კათალიკოსის კურთხევა,—აი, რა იყო ეს დღე.

რუსთა თვითმპყრობელობამ 117 წ. წინად თავის ნებით შეერთებულ საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო, ხოლო ასი წლის წინად მოსპო სრულიად საქართველოს კათალიკოსის ტახტი და მით საქართველოს ეკლესიას ჩაუქრო თვით არსების კანდელი

რევოლიუციამ საქართველოს ეკლესიაც გაანთავისუფლა უსამართლო ტყვეობისაგან, და იქ, სადაც 1691 წ. წინად პირველად წმ. ნინომ ნათელი სცა წარმართ ქართველობას, სწორედ იქვე ეკურთხა საქართველოს განთავისუფლებულ ეკლესიის კათალიკოსი —კირიონ მეორე.

ეკლესიაში წირვის შესრულების შემდეგ, შემოსილი კათალიკოსი მიტროპოლიტებითურთ გალავანში გამობრძანდა სადაც ელოდა მრავალი ერი. აქ საგანგებოდ მოწყობილ მაღლობზე შედგა სამღვდელობა. დაიწყო მილოცვები. შემდეგ მიულოცეს ანტონ ქუთათელმა კაპიტ. აბესაძემ ქართველი ჯარის სარდალმა (აღუთქვა სამშობლოს ერთგული სამსახური და ლოცვა-კურთხევა გამოსთხოვა კათალიკოსმაც აკურთხა), იმერეთის წარმომადგენელმა ტ. ჯაფარიძემ (საუცხოვო შინაარსიანი სიტყვით დაახასიათა საქართველოს მდგომარეობა და საჭიროვება), ქართველ მხედართა კავშირის წარმომადგენელმა, ახალგაზდობის წარმომადგენელმა, თუშ ფშავ ხევსურებმა და სხ. დიდებული იყო წუთი ქართველი ჯარის ფიცი სამშობლოს სასამსახურად.

თითქმის ყველა მოლაპარაკეს ზღვა-ხალხი ტაშით კაშათი და „ამინით« უპასუხებდა.

პირველი ნაბიჯი გადაიდგა, საჭიროა მეორე.

**დამსწრე**



ქართულმა დრამატიულმა დასმა „ქართული კლუბის“ დარბაზში ენკენისთვის 23 სეზონის დასაწყისში დასდგა ვ. შალიკაშვილის პიესა „გადაჭრილი შუხა“. პიესა საერთოდ მაყურებელზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვინაიდან შიგ გამოყვანილია ცოცხალი ტიპები, ჩვენი გადაგვარებულ და არა-ნორმალურ პირობებში იღზრდილი ინტელიგენციისა. ყოველი სიტყვა, ყოველი მოქმედება პიესაში ამოღებულია ცხოვრებიდან.

მთავარ როლებს ასრულებდენ ა. იმედაშვილი, ა. ქიქოძისა, მ. ქილარჯიშვილი და ი. ზარდალიშვილი. იმედაშვილს, როგორც ნიჭიერს და პირველ ხარისხოვან მსახიობს, მეტი მოეთხოვება, თუმცა როლი არ გაუფუჭებია და მაყურებლებზე შთაბეჭდილება იქონია. ა. ქიქოძე ახალგაზდა ასახიობია, მეტი არ მოეთხოვება, მაგრამ სასურველია ყოველ ახალ როლში მრავალ-ფეროვანობა შეიტანოს. მ. ქილარჯიშვილმა მგძნობიერათ ჩაატარა ბედ-დაჩაგრული ნინოს როლი. ი. ზარდალიშვილმა ხომ აღტაცებაში მოგვიყვანა თავის მხატვრულ თამაშით: მან ნამდვილი ტიპი გადმოგვცა გადაგვარებულ ინტელიგენტისა.

აღსანიშნავია აგრეთვე თამაში ნიჭიერ მსახიობის ტასო აბაშიძის, ვ. შალიკაშვილის, პ. კორიშელის და სხ.

საერთოდ პიესამ კარგად ჩაიარა და ხალხი ნასიამოვნები დაიშალა. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით, უბილეთობის გამო ბევრი დაბრუნდა.

ორშაბათს, ენკენისთვის 25, წარმოადგინეს შალიკაშვილის პიესა: „სიმახინჯე“. ეს პიესა პირველთან შედარებით სუსტია, მაგრამ ინტერესს მაინც არაა მოკლებული. აღსანიშნავია თამაში ი. ზარდალიშვილისა, რომელმაც მშვენივრად დაგვიხატა მახინჯის როლი ჯავახიშვილისა, ა. ქიქოძისა, რომელიც ამ დამეს უკეთ გრძნობდა თავს; აღსანიშნავია გვარაძე, ვ. შალიკაშვილი, ტასო აბაშიძე და სხ. ბოლოს დადგეს მხიარული გოდევილი გუნიასი „რაც არ მერგება არ შემერგება“. დიდებულმა მსახიობმა ვასო აბაშიძემ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და ბევრი აცინა. ძლიერ კარგნი იყვნენ: ტასო აბაშიძე, ვ. შალიკაშვილი და პ. კორიშელი.

სასურველია, დასმა ორიგინალურ პიესების დადგმა განაგრძოს. სუსტი იქნება თუ არა პიესა, ჩვენ საზოგადოებას ძალიან მოსწონს თავის ცხოვრებიდან დაწერილი პიესები.

რუსულ ოპერას „ქართულ კლუბში“, ხალხი ნაკლებად ესწრება. დარბაზი თითქმის ცარიელია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლმე. („დემონს“-კი როგორც ქართულ ცხოვრებიდან აღებულ ოპერას, მეტი ხალხი დაესწრო.)

რ სულიდრამის („ტარტო“ ს ამხანაგობა) რეპერტუარი ძველი პიესებისგანაა შემდგარი. საინტერესოა ვიცოდეთ, თბილისის საზოგადოებას როდემდე გამოჰკვებენ ძველი პიესებით?

ს. პატარა ონში მარიამობისთვის 5 ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ა ცაგარლის „ციმბირელი“ და „ტიმოთეს ლედგი“ წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო და პიესამაც მშვენივრად ჩაიარა, განსაკუთრებით საუცხოვოდ განასახიერა პეტოს როლი გ. გიორგობიანმა, მაშოს როლი ადგილობრივ მღვდლის ასულმა, ნარგიზა — დვალის ასულმა და ვაჭრის ცოლი სოხაძის ასულმა. საერთოდ ყველა კარგად იყო მომზადებული. დამსწრენი მოხიბლეს. შემოსავალი ადგილობრივ სამკითხველოს გადასცეს.

ს. ცაიში მკათათვეში საზაფხულოდ ჩამოსულ-ახალგაზდობამ წარმოადგინა „მოტყუებულნი“ და „ტიმოთეს ლედგი“. შემოსავალი (50 მან.) გადაეცა სამკითხველოს.

სასურველია ახალგაზდობა ბეჯითად მოეკიდოს ხალხის კულტურულად ამაღლებას.

ს. ანგარისპირელი

**ჟურ. „თეატრის და ცხოვრების“** სასარგებლოდ ხვალ, ორშაბათს, ღვინობისთვის 9, ქართულ კლუბში გაიმართება მრავალ-ფეროვანი დიდი სამუსიკო-სალიტერატურო-საცეკვაო საღამო ცნობილ მგოსანთა, მომღერალთა, მემუსიკეთა, მსახიობთა და მოცეკვავეთა მონაწილეობით.

**მწერალი დუტუ მეგრელი** თბილისში აპირებს ცხოვრებას.

**კათალიკოსის კურთხევას** მცხეთაში ღვინობისთვის 1 აუარებელი ხალხი დაესწრო. კურთხევას დღესასწაულებრივი ელფერი ედო.

**მიტროპოლიტებად აკურთხეს** ანტონი ეპისკოპოსი ქუთათელად, ამბროსი არქიმანდრიტი ჯერ ეპისკოპოსად, ხოლო შემდეგ ჭყონდიდლად.

**ქართველ მხატვართა** ნაწარმოების პირველი გამოფენა ახლო ხანში გაიმართება. მხატვრებს ამ ზაფხულში ბლომა სურათები გადაუღიათ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში.

**მსახიობი** ელენე ციმაკურიძე და მ. ქიაურელი ქუთაისის დრამ. დასში მიიწვიეს.

**ახალგაზდა მწერალთა** ერთი ჯგუფი ჰმართავს კაბარე-კლუბს.

**ქართველ მსახიობთა** კავშირმა ინტერპარტიულ საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა სახემწიფო თეატრში ქართული დრამის მოთავსების შესახებ.

**სინემატოდრაფი.** ეგ. ნინოშვილის „ქრისტინე“ გერმანე გოგიტიძის თაოსნობით და ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით ლენტზე გადაიღეს. სურათები ალაგობრივ გადაიღეს — გურიაში, თბილისში, ორთაჭალაში, სასაფლაოზე, რკინის გზაზე და სხ.

**ხელოსანთა კლუბში სახალხო სცენის მოყვარეთა** მიერ წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე“

**ახალგაზდა მგოსანმა ოთოლმა მუშამ** დასწერა დრამატიული პოემა „მომავალი შვილნი“

---

# ქ ა რ თ უ ლ ი  კ ლ უ ბ ი

**ორშაბათს, 9 ოქტომბერს**

„თ ე ა ტ რ ი  დ ა  ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს“

სასარგებლოდ

დარია ახვლედიანის თაოსნობით გაიმართება

**დიდი** სამუსიკო სალიტერატურო-საცეკვაო გასართ. **საღამო**

შემდეგი შინაარსით: 1. **სიტყვა. შალვა დადიანი** „თეატრი და ცხოვრება“ 2. **პოეზია გ. ქუჩიშვილი, ს. ფაშალიშვილი, დ. ახვლედიანისა, ქნარი, ვ. ყიფიანი** (წაიკითხ. აკაკის ისტ. აკრ. ლექსს)ა 3. **მუსიკა. ვარდენ ლორთქიფანიძე** (პირველად ამ საღამოზე შეასრულებს ოპერა „**ლალატი**“-დან სოლეიმან-ხანის საგალობელსა და ოთარ-ბეგის არიას, — თარგმანი იოსებ იმედაშვილისა; **იოსებ სალირაშვილი** — თარი; გლეხთა გუნდი, ფანდური; ჰაზირას დასტა (იმღერებს „ხელი აიღე ჩვენგანა, შე წყეულო მარტი თვეო“), საზანდარი; **ვასო აბაშიძისა ნიკო გოცირიძის** მონაწილეობით — „**ვაი-ვუი**“ (ახალი კუპლეტები) 4. **ცეკვა**, ნაურული ლეკური, ევროპიული, საუკეთესო მოცეკვავეს მიეცემა ჯილდო (პრიზი) საგანგებოდ მოწვეულ ჟიურის მიერ, ჟიურის წევრებად მოიწვევიან მოქანდაკე, მხატვარი და ცეკვის ოსტატი; გასართობი: პტიშვო, ფოსტა და სხ.

ბილეთების ფასი 5 — 1 მანეთამდე, ბილეთები იყიდება ქართულ კლუბის კასაში. როიალის დამკვრელი **ანდრონიკაშვილის ასული.**

გამგე **დარია ახვლედიანისა**

სცენის მომწყობი **შალვა დადიანი.**

# ქართული კლუბი

1 კვირის პროგრამმა

**კვირა** — საღამო წარმოდგენა.
**ორშაბათი** — ოპერეტა. მუსიკა
**სამშაბათი** — საოჯახო საღამო
**ოთხშაბ.** — სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.
**ხუთშაბ.** — ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
**პარასკ.** — ოპერეტა.
**შაბ.** — საოჯახო საღამო
**კვირა** — რუსული წარმოდგენა

---

„**თეატრი და ცხოვრება**“

წლის ბოლომდე ღირს 5 მან. ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში — ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახ. არჯევანიძისა.

საფოსტო მისამართი: **თბილისი, რედ. „თეატ. და ცხოვრება“ — იოსებ იმედაშვილს.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**